

**მე-2 საერთაშორისო კონფერენცია  
“არაორგანული მასალათმცოდნეობის  
თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”**

2015 წლის 20–24 აპრილს საქართველოში, თბილისში, ჩატარდა მე-2 საერთაშორისო კონფერენცია “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”, რომელიც მიემდგვნა ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 70-ე წლისთავს.

თავად იუბილარ ინსტიტუტთან ერთად კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკური ცენტრი “დელტა”. კონფერენცია ფინანსურად მხარდაჭერილი იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

მუშაობდა საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – გიორგი თავაძე (საქართველო); მდივანი – თამარ ბაძოშვილი (საქართველო); წევრები – მიხეილ ალიმოვი (რუსეთი), ალექსი ბერნერი (ისრაელი), ალექსანდრე ბურჯანაძე (საქართველო), არჩილ გაჩეჩილაძე (საქართველო), ელაზარ გუტმანასი (ისრაელი), ონურალფ იუჯელი (თურქეთი), გიორგი ონიაშვილი (საქართველო), ბორის პატონი (უკრაინა), ირაკლი ჟორდანიას (საქართველო), ალექსანდრე სიჩოვი (რუსეთი), ვალერი სკოროხოდი (უკრაინა), არჩილ ფრანგიშვილი (საქართველო), ალექსანდრე შტეინბერგი (აშშ), უჩა ძოძუაშვილი (საქართველო), ჯუმბერ ხანთაძე (საქართველო) და ავთანდილ ხვადაგიანი (საქართველო).



**გიორგი თავაძე  
(საქართველო)**



**ლეონიდ ჩერნიშოვი  
(უკრაინა)**



**ელაზარ გუტმანასი  
(ისრაელი)**



**ორესტ ივასიშინი  
(უკრაინა)**



**ალექსი ბერნერი  
(ისრაელი)**



**ოსკობ ცინცაძე  
(საქართველო)**

კონფერენცია გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის 70-ე წლისთავსადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომით, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გიორგი კვესიტაძე.



საიუბილეო სხდომის გახსნა

ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გიორგი თავაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: "ინსტიტუტის წარსული, აწმყო და მომავალი". მოგონებებით ინსტიტუტის ისტორიიდან გამოვიდა დოქტ. იოსებ ცინცაძე. უცხოელი სტუმრები – მ. ალიმოვი (რუსეთი), ა. ბერნერი (ისრაელი), ე. გუტმანასი (ისრაელი), ო. ივასიშინი (უკრაინა), ე. ლევაშოვი (რუსეთი), ზ. მანსუროვი (ყაზახეთი), ვ. სიდორეცი (უკრაინა) და ლ. ჩერნიშევი (უკრაინა) – მიესალმენ კონფერენციას და ინსტიტუტს მიულოცეს მისი იუბილე. სიტყვით, აგრეთვე, გამოვიდნენ საქართველოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელები: გ. ბოკუჩავა, თ. ნატრიაშვილი, გ. ტატიშვილი, ნ. ჩიხრაძე, ვ. ციციშვილი და ა. ხვადაგიანი.

შესვენების შემდეგ გაიმართა პლენარული სხდომა.



კონფერენციის მონაწილეები



სხდომათა დარბაზში

დღის მეორე ნახევრიდან კონფერენცია გაგრძელდა სასტუმრო “ვერე პალასში”. საერთო ჯამში კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა ოცდაათამდე ზეპირი და დაახლოებით ამდენივე პოსტერული მოხსენება. თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანი იყო: ფხვნილოვანი მეტალურგია, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი, ელექტროდაფენა, მრავალკომპონენტური სისტემების თერმოდინამიკა, ნანომასალების მიღება და გამოკვლევა, ნახევრადგამტარების ტექნოლოგია, მასალების სინთეზირების ქიმიური მეთოდები და ა.შ.

ქართველ მეცნიერებთან ერთად, თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს კოლეგებმა თურქეთიდან, ისრაელიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან.

პროგრამაში ჩართული მოხსენებების უმრავლესობა სტატიების სახით კონფერენციის დაიბეჭდა მოხსენებათა კრებულში (სარედაქციო ჯგუფი: ხელმძღვანელი – ჯ. ხანთაძე, წევრები – ლ. თავაძე, დ. რამაზაშვილი და ლ. ჩხარტიშვილი), რომელიც გადაეცათ მონაწილეებს.




პროგრამის გარეკანი



მოხსენებათა კრებულის გარეკანი

გამოიცა ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ბუკლეტი უზვადაა ილუსტრირებული და მოგვითხრობს საქართველოში მეტალურგიის განვითარების შესახებ, საკუთრივ ინსტიტუტის ისტორიაზე, მის დღევანდელ დღეზე და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ საინტერესო ბუკლეტის ეგზემპლარები ასევე დაურიგდათ კონფერენციის მონაწილეებს.



**საიუბილეო ბუკლეტის გარეკანი და მიძღვნის გვერდი**

ორგანიზატორებმა კონფერენციის მონაწილეებს საინტერესო სოციალური პროგრამა შესთავაზეს: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქრის ფონდის დათვალიერება, ტურები თბილისში და მცხეთაში, გალა-ბანკეტი.

მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ ჩატარებული კონფერენციის მაღალ სამეცნიერო დონეს და მის შესანიშნავ ორგანიზებას. ამიტომაც მიიღეს დადგენილება, რომ არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდებისადმი მიძღვნილი კონფერენციები რეგულარულად, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, გაიმართოს თბილისში, საქართველოში.

*ოთარ ცაგარეიშვილი*

2015 წლის 30 აპრილი